I აპრილი

2009 ოთხშაბათი

დან. 3, 14-20.46-50.91-92.95; საგ. დან. 3, 52-56;
იოან. 8, 31-42 I ი

...ჩვენ ერთი მამა გვყავს ღმერთი!

(იოან. 8, 41)

იესო ეხმარება რწმენაში გაიზარდონ ისინი,
რომლებმაც ირწმუნეს იგი. მაგრამ ესენი,
თავიანთ თავდაჯერებულობაში
ფესვგადგმულები, ღმერთის ჭეშმარიტ
შეცნობასა და საკუთარ სიმართლეში
დარწმუნებულები, იქამდე მივლენ,
რომ მოინდომებენ იესოს ჩაქოლვას.
უფალო, იესო, ვინც იხილე მამა,
ქმენ, რომ ვიყოთ მდაბალნი
და უბრალონი შენი სიტყვის წინაშე.

2 აპრილი

2009 ხუთშაბათი

დაბ. 17, 3-9; ფს. 104; იოან. 8, 51-59 I ი

...მე ვიქნები მათი ღმერთი (დაბ. 17. 8)

რას ნიშნავს სიტყვა ღმერთი?
აბრაამმა ეს მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც
თვით იგი გამოეცხადა მას. ღმერთი არის ის,
ვისაც სურს ადამიანის გვერდში დაუდგეს,
რათა მიუძღვნას მას „მიწა საცხოვრებლად,
რომელსაც ძალზე, ძალზე ნაყოფიერ გახდის“.
სანაცვლოდ აბრაამმა უნდა აღიაროს იგი თავის
უფლად, დაიცვას მისი მცნებები, რომლებიც
მისი სიყვარულის სიბრძნის მადლებია.
აბრაამმა და მისმა შთამომავლობამ ეს ვერ
მოახერხა. ეს შესაძლებელი გახდებასულიწ-
მიდის მიერ, რომელიც მკვდრეთით აღმდგარმა
იესომ შთაბერა თავის ეკლესიას

3 აპრილი

2009 პარასკევი

ირემ. 20, 10-13; ფს. 17; იოან. 10, 31-42 I ი

ბევრი ერწმუნა მას. იოან. 10,42

მრავალი ერწმუნა იესოს,
როდესაც იხილეს,
რომ იოანე ნათლისმცემლის
ყოველი ნათქვამი მასზე იყო ჭეშმარიტი.
ასევე, ჩვენ დაგვეხმარება რწმენის ზრდაში
თუ დავაკვირდებით იმას,
რაც მოხდა ან ხდება იმათ ცხოვრებაში,
რომლებმაც იესო მიიღეს
და დააყენეს თავიანთი
მოლოდინის ცენტრში.

4 აპრილი

2009 შაბათი

ეზეკ. 37, 21-28; საგ. იერემ. 31, 10-13; იოან. 11, 45-56 I ი

გადაწყვიტეს, მოეკლათ იგი. (იოან. 11, 53)

იესოს მოკვლის გადაწყვეტილება იყო მათი განადგურება. იგივენაირად, შეიძლება ჩვენ დაგვემართოს, როცა ჩვენი არჩევანით იესოს გამოვრიცხავთ ჩვენი ცხოვრებიდან. დიდმარხვის ამ ჟამს განვიწმიდოთ გულები, რათა იესოს დავუთმოთ მთლიანად ის დრო და სივრცე, რომელსაც იგი იმსახურებს. მას შეუძლია ჩვენი აღდგენა ახალი სიცოცხლისათვის, ჩვენივე ეგოიზმისგან და მისი მოძღვრებისადმი ჩაკეტილობისაგან განთავისუფლება და ჩვენი მიყვანა ღმერთთან და ძმებთან ზიარებამდე.

5 აპრილი

2009

ბზობა – იესო ქრისტეს დიდებით
შესვლა იერუსალიმში

კვირა

ეს. 50, 4-7; ფს. 21; ფილ. 2, 6-11; მარკ. 14, 1-15, 47 II წ
ახალგაზრდების დღე საკრებულოებში.

სული მზადაა, სხეული კი სუსტია

(მარკ. 15, 38)

ყველას გამოგვიცდია ამ სიტყვების
ჭეშმარიტება, განსაკუთრებით გამოცდისა და
ტანჯვის მომენტებში.
მაგრამ კარგია თუ ჩვენ მის წინაშე ჩვენივე
სისუსტეებით წარვდგებით,
რადგანაც იგია წყარო ჩვენი ძალისა
და სიყვარულისა. მისგან ვიღებთ უნარს
მხნეობით მივიღოთ ყველაფერი,
რაც არ უნდა მოხდეს და ამგვარად შევიდეთ
მარადიულ ნადიმში.

6 აპრილი

დიდი ორშაბათი

2009 ორშაბათი

ეს. 42, 1-7; ფს 26; იოან. 12, 1-11 II ი

მე, უფალმა მოგიწოდე სიმართ-ლეში და ხელს ჩაგჭიდე. (ეს. 42, 6)

ამ მტკივნეული და შემაძრწუნებელი
დღეების განმავლობაში,
როდესაც ისე ბნელა,
რომ ყველაფერი მეტყველებს
თვით ღმერთის სიშორეზეც,
იესოს სწამს, რომ მამა მის გვერდითაა
და მისი ხელი უჭირავს.
მასთან გაივლის სიკვდილს,
რათა აღდგეს მესამე დღეს.

7 აპრილი

დიდი სამშაბათი

2009 სამშაბათი

ეს. 49, 1-6; ფს. 70; იოან. 13, 21-33.36-38 II ი

ჩემი მსახური ხარ შენ, ისრაელ.

(ეს. 49, 3)

მამა ღმერთის ნებაა,
რომ თვისი ერი
ემსახურებოდეს მას
სიწმიდითა და სიმართლით.
იესომ აღასრულა
ღმერთის ეს მოლოდინი,
და ახლა, მასთან ერთად,
ასევე ჩვენ, ვასრულებთ მას
ძმების სიყვარულით.

8 აპრილი

დიდი ოთხშაბათი

2009 ოთხშაბათი

ეს. 50, 4-9; ფს. 68; მათ. 26, 14-25 II ი

წმიდა მირონის კურთხევის წირვა მიძინების ტაძარში (თბილისში)

„ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ერთი თქვენგანი გამცემს“ (მათ. 26, 21)

იესომ მოუხმო თორმეტს და ახლა ჩვენ გვიხმობს თავისი სიცოცხლის უსასრულო სიმდიდრეთა გასაზიარებლად. ასევე ჩვენ შეგვიძლია გავცეთ, და ასე უარვყოთ, ეს ჩვენი დიდი მეგობარი და კეთილისმყოფელი მის ადგილას სხვა მცირე და ღატაკი სურვილების დაყენებით, მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთი სურვილები უფრო მეტად გვხიბლავენ ჩვენ.

9 აპრილი

2009

დიდი სამდღეული: დიდი ხუთშაბათი:
საიდუმლო სერობის მოხსენიება

ხუთშაბათი

ეს. 12, 1-8.11-14; ფს. 115; 1 კორ 11, 23-26; იოან. 13, 1-15 სთ

იესოს ბოლომდე უყვარდა ისინი.

(იოან. 13, 1)

ძმებო ვიმხიარულოთ,
რადგან იესომ,
ჩვენდამი სიყვარულით აღძრულმა,
თავისი სიცოცხლე მოგვიძღვნა ჩვენ!
ეს უხვი ნადიმი,
ჩვენთვის მომზადებული
საუკუნეთა უწინარეს!
უფალო, იესო,
დღეს ერთად შეკრება გვსურს
შენს საქებლად და საკურთხევლად!

10 აპრილი

2009

წითელი პარასკევი: იესო ქრისტეს ვნების მოხსენიება

პარასკევი

ეს. 52, 13-53, 12; ფს. 30; ებრ 4, 14-16; 5,7-9; იოან. 18, 1-19 ,42 ს წ

შესაწირავი წმიდა მიწისთვის.

აჰა, თქვენი მეფე! იოან. 19,14

როცა გვესმის სიტყვა მეფე, მაშინვე წარმოგვიდგება ვინმე, რომელიც მართავს ქვეშევრდომებს. იესო სხვანაირი მეფეა. იგი ჯარისკაცთა ძალადობაზე არ პასუხობს ძალადობით. პილატის სიტყვათა თამაშს არ აყვება, მაგრამ პასუხება, როგორც გონიერ ადამიანს. როცა ჯარისკაცები წილს ყრიან და მის სხეულს უგულებელყოფენ, სიჩუმეში ტანჯება. მღვდელმთავრებსა და მკვლელებს არ განიკითხავს. იესო გაცხადებ ჩემს მეფედ და თაყვანსაგცემ, ქმენ ჩემს ცხოვრებაში, რაც გსურს.

II აპრილი

2009

დიდი შაბათი:
საპასექო დამისთევა

შაბათი

რომ. 6, 3-11; ფს. 117; მარკ. 16, 1-7 ს თ

მოდით, დავბრუნდეთ უფლისკენ, ის განგვკურნავს. (ოს. 6, 1)

ამ კვირის განმავლობაში ეკლესია
დაგვეხმარა, გვემზირა იესოსათვის,
რომელიც გასცემს თავის სიცოცხლეს;
უძღვნის მას ჩვენთვის, ცოდვილთათვის.
იგი არის ჩვენი იმედი, ხსნა და მშვიდობა. მა-
დლობთ, იესო, შენი სიყვარულისათვის!
ხვალ ვუმზერთ შენს გამარჯვებას სიკვდილზე:
გმადლობთ, რომ შეგვიძლია შენთან მოსვლა
შენი მიტევების მისაღებად! გმადლობთ!

12 აპრილი

აღდგომა იესო ქრისტესი (დდ)

2009

კვირა

საქ. 10, 34.37-43; ფს. 117; კოლ. 3, 1-4 (ან: 1 კორ. 5, 6-8);
იოან. 20, 1-9 (ან: მარკ. 16, 1-8) ს თ

იგი აღდგა, აქ არ არის. (მარკ. 16, 6)

უფალო იესო, შენ განვლე
ეშმაკის ძალაუფლებაში მყოფთა
განკურნებითა და მათთვის
სიკეთის აღმოჩენით.
დღეს ვდღესასწაულობთ
შენს ადგომასა
და ჩვენს შორის ყოფნას!
კვლავაც გამოაბრწყინე შენი თანმყოფნა,
რომელიც აცოცხლებს და ჰკურნავს ჩვენს
ცხოვრებას!

13 აპრილი

2009

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა

ორშაბათი

საქ. 2, 14.22-32; ფს. 15; მათ. 28, 8-15 ს თ

ისინი ფეხებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას. (მათ. 28, 9)

ჩვენი რწმენა მკვდრეთით აღმდგარ
და ცოცხალ იესოში, გვიბიძგებს უფლის
თაყვანისცემისკენ.
თაყვანისცემა არის მორჩილებისათვის
განწყობა, რათა ვაღიაროთ,
რომ იგი არის ყველაზე დიდი,
ყველაზე ბრძენი, ჩვენი
ყველაზე დიდი მოყვარული.

14 აპრილი

2009

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდეულისა

სამშაბათი

საქ. 2, 36-41; ფს. 32; იოან. 20, 11-18 ს თ

ვინცა მიიღო მისი სიტყვა, მოინათლნენ. (საქ. 2, 41)

ერთი ქალბატონი გვიყვებოდა, რომ ნათლისღების შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში განიცდიდა მანამდე ჯერ არ განცდილ სიყვარულსა და სიმშვიდეს. ისეთი კმაყოფილი იყო, რომ ასევე ღამის განმავლობაში შეიგრძნობდა ლოცვის წყურვილს. ნათელღებულები, ანუ იესოს ცხოვრებაში შთაძირულნი, გარდავიქმნებით და შემძლენი ვხდებით გულმოწყალე, მიმტევებელი სიყვარულისა და ჩვენი ცხოვრების შეწირვისა, რათა მამა ღმერთი აღიარებული იქნეს და დაფასდეს მისი სიბრძნე.

15 აპრილი

2009

ოთხშაბათი ბრწყინვალე
შვიდეულისა

ოთხშაბათი

საქ. 3, 1-10; ფს. 104; ლუკ. 24, 13-35 ს ო

მამა ე. ვარდიძის მოხსენიება (†1966)

თვალი აეხილათ და იცნეს. (ლუკ. 24, 31)

იესოსთან ყოფნით
ვიღებთ სულიწმიდას
მის შესაცნობად.
ძმებთან ერთად ლოცვაში
მრავალჯერ შემიგრძვნია
მისი ნათელი
უფლის თანყოფნისა
და მისი საქმეების
ამოსაცნობად.

16 აპრილი

2009

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდეულისა

ხუთშაბათი

საქ. 3, 11-26; ფს. 8; ლუკ. 24, 35-48 ს თ

იესომ უთხრა:

„მშვიდობა თქვენდა!“! (ლუკ. 24,36)

მშვიდობა, რომელსაც იესო გვიძღვნის, არის გულისმიერი მშვიდობა და მისი სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის ნაყოფია. იგი ყველას უძღვნის ამ ცხოვრებას და მისი მოწაფეები განიცდიან მას, ისინი, ვინც მას თავიანთი ცხოვრების უფლად ირჩევენ და მის მსახურებას მიეძღვნებიან.

იესო, გმადლობთ, შენი მშვიდობისათვის, რომლისთვისაც ასევე მე ვიშრომე, მაგრამ შენზე უფრო ბევრად ნაკლები!

17 აპრილი

2009

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა

პარასკევი

საქ. 4, 1-12; ფს. 117; იოან. 21, 1-14 ს თ

სხვაში არავისში არ არსებობს ხსნა.

(საქ. 4, 12)

უფალო, იესო, ვის შეუძლია გადარჩენა
მხსნელის გარეშე?
ვის შეუძლია დანახვა სინათლის ფარეშე?
ვის შეუძლია ასვლა კიბის გარეშე?
შენ ხარ კიბე, სინათლე, მხსნელი.
სწორედ ამას ნიშნავს შენი სახელი:
ღმერთი იხსნის!
ღმერთი იხსნის შენი მეშვეობით.
სხვას არავის შეუძლია შენი ადგილის დაკავებას. ვინც ამას აკეთებს გვატყუებს!

18 აპრილი

2009

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა

შაბათი

საქ. 4, 13-21; ფს. 117; მათ. 16, 9-15 ს თ

უსაყვედურა ურწმუნოება და გულქვაობა. (მარკ. 16, 14)

იესო ეჩვენა თერთმეტს, რათა ერწმუნათ,
რომ აღდგა მკვდრეთით და ცოცხალია.
მიუხედავდ იმისა, რომ წლების განმავლობაში
ვუსმენდი სახარების ქადაგებას
და მოწმეთა მონათხრობს, რწმენაში
ჭეშმარიტი გზის დასაწყისი იყო მასთან
პიროვნული შეხვედრის გამოცდილებას.
გმადლობთ იესო, ყველა მათთვის, რომლებმაც
შემახსენეს, რომ შენს შემოთავაზებებსა და
მოთმინებას ვფლანგავდი.

19 აპრილი

2009

პასექის II კვირადღე, ანუ გულმოწყალების კვირადღე

კვირა

საქ. 4, 32-35; ფს. 117; I იოან 5, 1-6; იოან. 20, 19-31 ს თ ივლიტის საკრებულოს დღესასწაული აღდგომა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

ჩვენ ვიხილეთ უფალი! (იოან. 20, 25)

მოციქულებმა ნახეს მკვდრეთით აღმდგარი! მათი სიტყვა სარწმუნო გახდა მათი გულისეული სიხარულის მიერ, მანამდე რომ დამწუხრებული და სასოწარკვეთილი იყო. მაგრამ თომას არ სწამს თავისი „ძმებისა", არც თავისი თვალებისა სჯერა, რომლებიც ხედავენ დაუჯერებელ სიხარულს მათსავე სახეებზე. მადლობა შევწიროთ იესოს თავისი გულმოწყალებისათვის თომას მიმართ.

20 აპრილი

2009 ორშაბათი

საქ. 4, 23-31; ფს. 2; იოან. 3, 1-8 II თ

გაიწოდე ხელი განკურნებათა მოსახდენად. (საქ. 4,30)

ეს სიტყვები მოხმობაა,
მამისადმი მიმართული,
მოციქულთა და შეკრებილი
მორწმუნეების მიერ,
რათა გადალახონ
სახარების უწყების დაბრკოლებები.
უფალი პასუხობს სულიწმიდის მოფენით.
მადლობთ, მამაო,
რადგან მუდამ შეგვიძლია
მივენდოთ შენს შეწევნას!

21 აპრილი

2009 სამშაბათი

საქ. 4, 32-37; ფს. 92; იოან. 3, 7ბ-15 II თ

...ყოველ მის მორწმუნეს ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე. (იოან. 3,15)

ღმერთს, რომელიც სიყვარული და მამაა,
იესო ქრისტეში, თავის ძეში, სურს საკუთარი
სიცოცხლის მონიჭება.
იესოს რწმენისა და სიყვარულით
მიღების მიერ,
ვღებულობთ სულიწმიდას,
რომელიც არის სრული სიცოცხლე,
ახალი, ღვთის შვილთა სიცოცხლე.
მადლობას გწირავთ, მამაო
კეთილო და წმიდაო!

22 აპრილი

2009 ოთხშაბათი

საქ. 5, 17-26; ფს. 33; იოან. 3, 16-21 II თ

ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისკენ მიდის. (იოან. 3, 21)

იესო საუბრობს ნიკოდემოსთან, რომელიც აღიარებდა, რომ ღმერთი მოქმედებდა მასში, იესომ შეამჩნია რა ხალხის ამ ავტორიტეტის გულღიაობა, გამოეცხადა მას. ამტკიცებს, რომ ვინც იცავს მცნებეს ღმერთის სიყვარულით, შეძლებს ნათელში გამოსვლას და მადლის მიღებას მასში ღვთის ძის აღიარებისათვის. პირიქით, ვინც გარეგნულად იცავს მცნებებს ან იყენებს მათ საკუთარი ინტერესებისათვის, ტაძრის მღვდელმთავრებივით, იმყოფება სიბ-ნელეში და არ შეუძლია იესოს მიღება.

23 აპრილი

2009 ხუთშაბათი

საქ. 5, 27-33; ფს. 33; იოან. 3, 31-36 II თ

ღმერთს უფრო მეტად უნდა ვემორჩილებოდეთ, ვიდრე ადამიანებს. (საქ. 5, 29)

თავისთავადად მოჩანს ასეთი ფრაზა,
მაგრამ ხშირად უნდა გავიმეოროთ ის.
ჩვენთვის ბუნებრივია დამორჩილება
საკუთარი აზროვნებაზე და საკუთარ
კონფორტზე, ვიდრე ღმერთისადმი!
ადვილია დამორჩილდე მოდასა
და უსარგებლო ჩვეულებებს,
და დაივიწყო ძმების სიყვარული
და ჩვენი რწმენის მოთხოვნები!

24 აპრილი

2009 პარასკევი

საქ. 5, 34-42; ფს. 26; იოან 6, 1-15 II თ

თქვა იესომ: „უთხარით ხალხს, დასხდნენ.“ (იოან. 6, 10)

ხალხმა თავისი „ეგვიპტიდან გამოსვლის“ დასასრულს მიაღწია იესოში. მასთან, „ისრაელის მწყემსთან“, ღვთის ახალ ერს შეუძლია დასვენება „მწვანე საძოვრებზე“ და შესვლა „ნადიმზე“, რომელიც ღმერთმა აღუთქვა ისრაელს, მესიის მოსვლით.

იმ მცირედით, რომელიც აქვს შენს საკრებულოს, „ხუთი პურითა და ორი თევზით“, რასაც ანაწილებს იესო, შენ ასწავლი შენს ეკლესიას ძმობას: არავინ დარჩება მშიერი!

25 აპრილი

წმ. მარკოზ მოციქული (დ)

2009 შაბათი

I პეტრ. 5, 5-14; ფს. 88; მარკ. 16, 15-20 ს წ

მშვიდობა თქვენდა ყველას, ვინც ქრისტეში ხართ! (I პეტრ. 5, 14)

წმ. პეტრე ამ სიტყვებით ასრულებს
თავის პირველ წერილს, მიმართულს
ქრისტეს ყველა მორწმუნისადმი.
მასში არიან კურთხეულნი
მისი მშვიდობით,
რომელიც არის მისი ერთგული
სიყვარულის გაზიარება,
მისი მადლის გაზიარება.

26 აპრილი

პასექის III კვირადღე

2009

კვირა

საქ. 3, 13-15.17-19; ფს. 4; I იოან. 2, 1-5; ლუკ. 24, 35-48 III თ

„შეხედეთ ჩემს ხელებსა და ჩემს ფეხებს. ეს მე ვარ თვითონ!“ (ლუკ. 24, 39)

იესოს აღდგომა არ არის მოციქულთა ფანტაზიის ნაყოფი, მათი შთაგონება ან გამონაგონი. ისინი შეეხნენ, ესაუბრნენ მას. იგი ნამდვილად მოკვდა ჯვარზე და აღდგა მკვდრეთით, როგორ წინასწარ თქვა და როგორც იყო წინასწარმეტყველების წერილებში. იგი კვლავაც გვიჩვენებს თავის იარებს: შეგვიძლია მათი დანახვა დევნილ ეკლესიაში და ხელითშეხება იმ მოწამეებში, რომელთაც კლავენ.

27 აპრილი

2009 ორშაბათი

საქ. 6, 8-15; ფს. 118; იოან. 6, 22-29 III თ

ხალხი იესოს საძებრად გაემართა.

(იოან. 6, 24)

იუდეველები ეძებენ იესოს, რომელმაც
წინადღეს გააძრავლა პური და თევზები
მათ დასაპურებლად. მან იცის,
რომ ეძებენ ანგარების გამო
და არა მის მოსასმენად.
იგი იწყებს მათ დამოძღვრას იმაზე,
რაც არის არსებითი სიცოცხლისათვის
და სასურველი მამა ღმერთისათვის.
ერწმუნო მას, ყოველი სიკეთის წყაროს.
იესო, მინდა რომ შენ იყო ჩემი მოძღვარი.
მინდა, რომ ვიყო შენთან ახლოს!

28 აპრილი

2009 სამშაბათი

საქ. 7, 51-8, 1; ფს. 30; იოან. 6, 30-35 III თ

უფალო, მუდამ მოგვეც ეს პური.

(იოან. 6, 34)

მათთვის, რომლებიც იესოს მოძღვრების მო-
სასმენად იყვნენ მოსულები კაპერნაუმის სინა-
გოგაში, ძნელი იყო გასაგებად, რას ნიშნავდა,
რომ ,,იგი იყო პური ზეციდან ჩამოსული''. ეს
არის ღვთის მადლი. ღვთის მადლია გაიგო,
რომ იესოა ის, რომელიც აღავსებს ჩვენს სი-
ცოცხლეს და ანიჭებს სამართლიან საზღაურს.
ვინც ამას გაიგებს, აღარ შეუძლია არ
საზრდოობდეს ყოველდღე მისი სიტყვით
და ხშირად ჭამოს მისი პური.

29 აპრილი

2009

წმ.ეკატერინე სიენელი, ქალწული და ეკლესიის მოძღვარი (მ)

ოთხშაბათი

I იოან. I, 5-2, 2; ფს. 44; მათ. 25, I-13 III თ

უფალო, უფალო, გაგვიღე! (მათ. 25, II)

წმიდა ეკატერინე არის ერთ-ერთი
ბრძნე ქალწულთაგანი,
რომელსაც მიესადაგება იგავი.
მან შეძლო ყოველდღე დალოდებოდა
სიყვარულით იესოს,
მისი ნებისამებრ რომ ეცხოვრა.
მართლაც იგი არის დანიშნული,
რომელიც ყოველ სულს მიეძღვნება.
სულო წმიდაო, დამეხმარე,
რათა მზად ვიყო ყოველი მისი მოწოდებისათვის,
მისი სიყვარულით მოლოდინისათვის.

30 აპრილი

2009 ხუთშაბათი

საქ. 8, 26-40; ფს. 65; იოან. 6, 44-51 III თ

ვინც ღვთისგანაა, მხოლოდ მან იხილა მამა. (იოან. 6, 46)

იესომ იცის, რომ „ზეციდან ჩამოვიდა“.
ასაკში ზრდასთან ერთად
თანდათან უფრო ღრმად გააცნობიერა ეს.
უკვე თორმეტი წლის ასაკში იცოდა,
რომ მისი მამა ელაპარაკებოდა
წმიდა წერილების საშუალებით
და მარიამსა და იოსებს,
რომლებიც ეძებდნენ მას
განუცხადა რომ არის
მისი მამის ხელებში.